

შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	3


ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი და მისი საქმიანობა.....	4
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	5
3 მარაგები.....	7
4 გაცემული ავანსები	7
5 ფული და ფულის ექვივალენტები	7
6 საწესდებო კაპიტალი	7
7 ამონაგები.....	7
8 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	7
9 ადმინისტრაციული ხარჯები	7

შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები			21,704	27,721
სულ გრძელვადიანი აქტივები			21,704	27,721
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	3		939,275	732,065
სავაჭრო მოთხოვნები			12,978	29,664
გაცემული ავანსები	4		170,604	243,052
სხვა საგადასახადო მოთხოვნები			40,721	28,809
ფული და ფულის ექვივალენტები	5		14,026	82,517
სულ მოკლევადიანი აქტივები			1,177,603	1,116,107
სულ აქტივები			1,199,307	1,143,828
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	6		110,338	102,000
დაგროვილი მოგება			1,058,706	971,955
სულ საკუთარი კაპიტალი			1,169,044	1,073,955
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები			17,752	25,268
მიღებული ავანსები			12,510	44,605
საგადასახადო ვალდებულებები			0	0
სულ ვალდებულებები			30,262	69,873
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			1,199,307	1,143,828

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2023 წლის 30 სექტემბერს.



დირექტორი

შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	7	1,590,053	1,378,461
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(1,092,979)	(872,027)
საერთო მოგება		497,073	506,434
მიწოდების ხარჯები		(6,076)	(5,838)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(316,259)	(307,345)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)		(3,777)	1,084
საოპერაციო მოგება		170,961	194,335
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		170,961	194,335
წლის სხვა სრული შემოსავლები		-	-
სულ წლის სრული მოგება		170,961	194,335

შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან მომხმარებლებისგან მიღებული თანხები (დღგ-ს ჩათვლით)		1,823,197	1,640,259
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები (საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადების ჩათვლით)		-1,523,559	-1,389,687
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		-284,513	(238,344)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		15,125	12,228
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან დივიდენდების გადახდა		-80,000	-130,000
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-80,000	-130,000
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		-3,618	1,895
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		-68,493	-115,877
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		82,518	198,395
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასასრულს		14,025	82,518

1 შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „კომპანია ჯაოკენი მოტორსისათვის“ („კომპანია“).

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, სარეგისტრაციო ნომრით: 200234772.

კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი ერისთავის 1 მისი ძირითადი საქმიანობაა სმანქანა მოწყობილობების რემონტი, წარმოება და რეალიზაცია.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების და შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ლარში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლები
მანქანა-დანადგარები	5-7
ოფისის აღჭურვილობა	5-7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7
სატრანსპორტო საშუალებები	

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები. არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ. ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოებს, ანაზღაურებადი წლიური შვებულებისა და ბიულეტენის, პრემიების, საქართველოს სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოში გადახდების, დაზღვევისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა დაქირავებით მომუშავეთა მიერ კომპანიისთვის. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები გარდა განსაზღვრული სავალდებულო გადახდის სქემისა.

ამონაგების აღიარება. ამონაგების არის საწარმოს შემოსავლები, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის თანხა, რომელს მიღებასაც საწარმო მოელის დაპირებულს საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

შპს კომპანია ჯაოკენი მოტორსი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 31 დეკემბერი 2022

3 მარაგები

მარაგები 31 დეკემბერი 2022 და 31 დეკემბერი 2021 თარიღებისთვის სრულად შედგება ნედლეული და მასალებისგან.

4 გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები 31 დეკემბერი 2022 და 31 დეკემბერი 2021 თარიღებისთვის სრულად შედგება მომწოდებელზე გადახდილი ავანსებისგან.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	1,604	42,076
ფული საბანკო ანგარიშებზე	12,422	40,441
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	14,026	82,517

6 საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი უდრიდა 102 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბერს 102 ათასი ლარი).

7 ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	1,590,053	1,378,461
სულ ამონაგები	1,590,053	1,378,461

8 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

	2022	2021
მასალები	1,086,316	870,256
სხვა საწარმოო ხარჯები	6,663	1,771
სუ; რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	1,092,979	872,027

9 ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯები	224,009	221,456
საიჯარო ქირა	72,542	64,949
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	6,017	6,537
კომუნალურები	5,063	5,242
დაზღვევის ხარჯები	3,929	4,736
სხვა ხარჯები	4,698	4,425
	316,258	307,345